ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 4/13

2024 წლის 25 აპრილი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, კოკაიას ხეივანი №1-ის მიმდებარედ არსებული 495.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.1030) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ქალაქ ფოთში, კოკაიას ხეივანი №1-ის მიმდებარედ არსებული 495.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.1030) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, კოკაიას ხეივანი №1-ის მიმდებარედ არსებული 495.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.1030) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

ამასთანავე, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის, №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, კოკაიას ხეივანი №1-ის მიმდებარედ არსებული 495.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.1030) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით, იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კოკაიას ხეივანი №1-ის მიმდებარედ არსებული 495.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.1030) ელექტრონული აუქციონით სარგებლობის უფლებით, 10 (ათი) წლის ვადით იჯარის ფორმით გადაცემა.

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2014 წლის 24 დეკემბრის №21/58 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ფოთში, კოკაიას ხეივანი N1-ის მიმდებარედ არსებული 495.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.03.1030) საწყისი წლიური ქირის საფასური განისაზღვროს, ხსენებული მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასურის (საბაზრო ღირებულების) 9%-ით.

მუხლი 3.

საიჯარო ქირა მოიჯარემ უნდა გადაიხადოს ყოველწლიურად (ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ყოველი საიჯარო წლის განმავლობაში).

მუხლი 4.

აუქციონში გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) წლის ვადის გასვლის შემდგომ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ უნდა განხორციელდეს საიჯარო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების/წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა „დიდ ოთხეულში“ შემავალი აუდიტორული კომპანიის მიერ და ფასთა სხვაობის შემთხვევაში მხარეთა ორმხრივი ხელმოწერით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წლიური საიჯარო ქირის ოდენობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირის წლიური საფასურის ოდენობისა.

მუხლი 5.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 6.

განკარგულება ძალაშია 2024 წლის 25 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**